

# მთავარი შესაძლებლობაა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის განმარტება



## მადლობა

ამ ბუკლეტის ტექსტი მოამზადა ვიქტორ პინედას ფონდის დამფუძნებელმა ვიქტორ სანტიაგო პინედამ. იგი ყველაზე ახალგაზრდა სამთავრობო დელეგატია სპეციალურ კომიტეტში, რომელმაც შეიმუშავა შეზღუდული უნარების მქონე პირთა უფლებების კონვენცია.

ეს პროექტი ინიცირებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) მიერ. მას დაწყების დღიდან უძღვება იუნისეფის ბავშვთა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელი ჰელენ შლუტი, რომელსაც მხარდაჭერას უწევს მარია ქრისტინა გალეგოსი, „ახალგაზრდების ხმის“ კოორდინატორი იუნისეფის მოზარდთა განვითარებისა და მონაწილეობის განყოფილებიდან. ბუკლეტი რედაქტირებული და გამოცემულია იუნისეფის კომუნიკაციის პროგრამის მიერ.

იუნისეფი მადლიერებით აღნიშნავს დიდი ბრიტანეთისა და შვედეთის **“Save the Children”**-ისა და **“Special Olympics”**-ის მხარდაჭერას.

ჩვენს მადლიერებას გამოვთქვამთ ასევე იუნისეფის ოფისების მიმართ სომხეთში, ჩინეთში, ეთიოპიაში, ნიკარაგუაში, ტაილანდსა და უზბეკეთში მათ მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ შეზღუდული შესაძლებლობის იმ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, ვინც გაგვიზიარა თავიანთი შეხედულებები **“Save the Children”**-ის და არაბეთის ადამიანთა უფლებების დაცვის ფონდის მიერ 2007 წლის ოქტომბერში სანაში (იემენი) ორგანიზებული კონსულტაციების დროს და ახალგაზრდულ სამიტზე, რომელიც ორგანიზებული იყო **“Special Olympics”**-ის მიერ შანხაიში მსოფლიო საზაფხულო თამაშების პარალელურად, 2007 წლის ოქტომბერში. ასევე უდიდეს მადლობას ვუცხადებთ მათ, ვინც მონაწილეობდა ონლაინ-კონსულტაციებში იუნისეფის „ახალგაზრდობის ხმის“ მეშვეობით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა ლიდერებს ვიქტორ პინედას ფონდის ინიციატივიდან **“A World Enabled”**.

იუნისეფი განსაკუთრებით მადლიერია იმ ბავშვებისა, რომელთაც მოგვანოდეს საკუთარი ლექსები და ნახატები.

ასევე გვსურს მადლობა გადავუხადოთ პროექტის ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფის წევრებს გონივრული შენიშვნებისთვის დოკუმენტის ყველა ვარიანტზე, განსაკუთრებით კი, საუდამინი სიეგრისტს (იუნისეფი, ფლორენცია), გერისონ ლანსდაუნს (დამოუკიდებელი კონსულტანტი), ალექსანდრა იუსტერს, დენიელ სეიმორს და ნადინ პეროტს (იუნისეფი, ნიუ-იორკი), კატერინა ნოუტონს (**“Christian Blind Mission”**) და შერი ტროპეტსა და ვანესა ანაიას (ვიქტორ პინედას ფონდი), რომლებიც დაგვეხმარნენ ადრეული ვარიანტების ხელახლა დანერგვაში.

ჩვენ მადლიერებით აღვნიშნავთ იუნისეფის გერმანიის კომიტეტის მიერ ამ პროექტისთვის გაწეულ უანგარო დახმარებას.

© გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
ბავშვთა ფონდი (იუნისეფი)  
აპრილი, 2008 წ.

წინამდებარე გამოცემის ნებისმიერი ნაწილის  
გამოქვეყნებისთვის საჭიროა ნებართვა. გთხოვთ  
დაუკავშირდეთ კომუნიკაციების დეპარტამენტს,  
იუნისეფი.

რ. ერისთავის ქ. 9 მე-4 სართული,  
თბილისი 0179, საქართველო  
ტელ: (995 32) 232 388; 251 130, 250 281, 251 656  
ფაქსი: (995 32) 251 236  
ელ.ფოსტა: [tbilisi@unicef.org](mailto:tbilisi@unicef.org)  
[www.unicef.org/georgia](http://www.unicef.org/georgia)

ნებართვა უსასყიდლოდ გაიცემა  
საგანმანათლებლო და არაკომერციული  
ორგანიზაციებისთვის.

# მთავარი შესაძლებლობაა


შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა  
უფლებების შესახებ კონვენციის განმარტება

## სარჩევნი




საკითხი

2



მოქმედებები ცვლილებისთვის

3



წიგნის შესახებ

3



კონვენციის შესახებ

7




შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენცია მოკლედ

8




როგორ ხორციელდება უფლებები

17



შეამონმეთ თქვენი ცოდნა

19



ლექსიკონი

21

# საკითხი

მე არ მაქვს ფეხები,  
მაგრამ მაქვს გრძნობები,  
მე ვერ ვხედავ,  
მაგრამ გამუდმებით ვფიქრობ,  
მართალია, ყრუ ვარ,  
მაგრამ მაინც მინდა ურთიერთობა,  
რატომ თვლიან ადამიანები, რომ უსარგებლო ვარ, არ შემიძლია  
ფიქრი და საუბარი,  
როდესაც მე ისეთივე შესაძლებლობები მაქვს, როგორც ყველას,  
როდესაც საქმე ჩვენი სამყაროს შესახებ ფიქრს შეეხება.

- კორალი სევერსი, 14 წლის, გაერთიანებული სამეფო

ეს ლექსი გამოხატავს იმ მილიონობით ბავშვისა და ზრდასრული ადამიანის აზრს, რომლებსაც ყველგან შეხვდებით მსოფლიოში და რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. ბევრი მათგანი ყოველდღიურად განიცდის დისკრიმინაციას. მათი უნარები ყურადღების მიღმა რჩება და მათ შესაძლებლობებს სათანადოდ არ აფასებენ. ისინი ვერ იღებენ იმ განათლებასა და სამედიცინო მომსახურებას, რომელიც სჭირდებათ, და გარიყული არიან საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისგან.

მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და მოზრდილებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც ყველა სხვა ადამიანს.



„მომეხმარე... შენ შეგიძლია ამის გაკეთება!“  
ბისმარკ ბენავიდესი, 13 წლის, ნიკარაგუა.

# მოქმედებები ცვლილებისთვის

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია სწორედ არსებული მდგომარეობის შეცვლის მიზნით შეიქმნა. ეს საერთაშორისო შეთანხმება მოითხოვს, რომ მსოფლიოს სახელმწიფოებმა დაიცვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ზრდასრული ადამიანების უფლებები.

იუნისეფი და მისი პარტნიორები მოუწოდებენ ყველა ქვეყანას, მოახდინონ კონვენციის რატიფიცირება. ეს დაიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს დისკრიმინაციისგან და ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. ჩვენ ყველას საკუთარი როლი გვაკისრია. ნაიკითხეთ ეს წიგნი და გაიგეთ, რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რომ ყველა ადამიანს ისე ექცეოდნენ, როგორც იმსახურებს.

## რას ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობა

ოდესმე გიგრძნიათ თავი გარიყულად? ბავშვები და დიდები, რომელთაც მხედველობის, სწავლის, სიარულის ან სმენის პრობლემები აქვთ, ხშირად გრძნობენ თავს გარიყულად. არსებობს ბევრი დაბრკოლება, რომლებიც მათ ხელს უშლის, სხვებივით ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამ დაბრკოლებათა უმრავლესობა საზოგადოებისგან მოდის. მაგალითად, ინვალიდის ეტლს მიჯაჭვულ ბავშვსაც სურს სკოლაში სიარული, მაგრამ მან ეს შესაძლოა ვერ მოახერხოს, რადგან სკოლას არა აქვს პანდუსი, ხოლო დირექტორი ან მასწავლებლები არ არიან კეთილგანწყობილი. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა ადამიანის ჩართვა, ჩვენ უნდა შევცვალოთ არსებული წესები, დამოკიდებულება და შენობების კონსტრუქციაც კი.



## წიგნის შესახებ

ეს წიგნი შეიქმნა ბავშვებისთვის, ბავშვებისვე მონაწილეობით და განმარტავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შინაარსს, თუ რატომ შეიქმნა ეს კონვენცია და როგორ შეუძლია მას დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის პირებს მათი უფლებების რეალიზებაში. იმედი გვაქვს, თქვენ გამოიყენებთ ამ წიგნს, რომ გაავრცელოთ ინფორმაცია, რათა უნარშეზღუდულ ბავშვებს ჰქონდეთ თავიანთი მიზნების მიღწევის თანაბარი შანსები.

შესაძლოა, თქვენ თავადვე ხართ უნარშეზღუდული ან იცნობთ ასეთ ვინმეს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეიძლება ჰქონდეთ მხედველობის, სმენის, სიარულის ან მეხსიერების პრობლემები, მაგრამ მათ, ამასთან, აქვთ ოცნებები, იმედები და აზრები, რომელთა გაზიარებაც უნდათ – რასაც გადმოგვცემს წიგნში გამოქვეყნებული ნახატები და ლექსები.

ჩვენ მოგიწოდებთ, რომ ეს ინფორმაცია გაუზიაროთ თქვენს მშობლებს, მასწავლებლებს, მეგობრებსა და ყველას, ვინც, თქვენი აზრით, ამ საკითხითაა დაინტერესებული.

ამ წიგნში მოცემულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მოკლე შინაარსი და მისი შექმნის მიზეზები. თქვენ შეიტყობთ ყველა ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და იმ ნაბიჯებისა და ქმედებების შესახებ, რაც უნდა განახორციელონ სახელმწიფოებმა, რომ უნარშეზღუდულ ბავშვებს თავიანთი უფლებების რეალიზებაში დაეხმარონ. თქვენ ასევე გაიგებთ იმ ქმედებების შესახებ, რომელთა შესრულებითაც თქვენ შეძლებთ რაღაცის შეცვლას.

წიგნის ბოლოს მოცემულია სიტყვების ჩამონათვალი და მათი ახსნა-განმარტებები. ეს ლექსიკონი დაგეხმარებათ თქვენთვის ახალი სიტყვების უკეთ გაგებაში.



## რა არის კონვენცია?

კონვენცია არის შეთანხმება ქვეყნებს შორის, რომ დაემორჩილონ ერთსა და იმავე კანონებს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. როდესაც სახელმწიფო ხელს აწერს და რატიფიცირებას უწევს (ამტკიცებს) კონვენციას, ის ხდება სახელმწიფოს მიერ დადებული სამარლებრივი პირობა და მისი მოქმედებების ორიენტირი. მთავრობას ხშირად უწევს თავისი ქვეყნის კანონების შეცვლა და ადაპტირება კონვენციის მიზნების შესაბამისად.

## რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები?

მსოფლიოში მცხოვრები ყველა ადამიანი დაცულია კანონებით, რომლებიც იცავს მათ უფლებებსა და თანდაყოლილ ღირსებას (ღირსებას, რომლითაც იბადება ყველა ადამიანი). გამონაკლისი არავინ არის. მაგალითად, ყველა ცოცხალ არსებას აქვს სიცოცხლის და მონობისგან თავისუფლების უფლება. ეს უფლებები განმტკიცებულია ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციით, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ 1948 წელს. ყველა ბავშვს აქვს საკვებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიღების უფლება, უფლება, იაროს სკოლაში და უფლება, იყოს დაცული ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან. ბავშვებს ასევე აქვთ უფლება, გამოთქვან თავიანთი აზრი, როდესაც უფროსები მათთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებენ, და რომ მათი შეხედულებები იყოს გათვალისწინებული. ბავშვთა უფლებები ჩამოყალიბებულია ბავშვის უფლებათა კონვენციაში.



# მთავარი გზავნილია შესაძლებლობა

## ვიქტორ პინედას ფონდის პრეზიდენტი ვიქტორ სანტიაგო პინედა

ხუთი წლისა ველარ დავდიოდი. ზრდასთან ერთად ჩემი კუნთები იმდენად დასუსტდა, რომ სუნთქვაც კი მიჭირდა. მეგონა, რომ არავის მოვწონდი, რადგან განსხვავებული ვიყავი. ჩემმა მშობლებმა არ იცოდნენ, რა ექნათ, მაგრამ ყოველთვის მაგრძნობინებდნენ სიყვარულს. მათ სჯეროდათ ჩემი და მაძლევდნენ ნებას, გამერისკა და ახალი რაღაცები მეცადა. მე გავხდი თვითდაჯერებული.

ჩემმა ოჯახმა იცოდა, რომ გზის გასაკვლევად ბრძოლა დამჭირდებოდა. მთელი ჩემი ბავშვობა მიხდებოდა ადამიანების გადარწმუნებას, თუ რას გავაკეთებდი და როგორ გავაკეთებდი. ბოლოს კი გავიგე, რომ არსებობს კანონები, რომლებიც მე მიცავს. ამ კანონების საფუძველზე მივიღე ის დახმარება, რომელიც მჭირდებოდა, და მომეცა საშუალება, გავმხდარიყავი წარჩინებული მოსწავლე.

მე გავიზარდე იმაზე ფიქრით, თუ როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება იქ რომ მეცხოვრა, სადაც არ არის დაცული ჩემნაირი ბავშვების უფლებები. აღმოვაჩინე, რომ ჩემნაირი ადამიანები მთელი მსოფლიოდან იკრიბებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რათა ემუშავათ ამ საკითხებზე, და ყველა ძალა ვიხმარე, რომ მათ შევერთებოდი.

მე ყველაზე ახალგაზრდა დელეგატი ვიყავი გაეროს სპეციალურ კომიტეტში, რომელმაც შეიმუშავა შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების კონვენცია. ბევრ ადამიანს დავუმეგობრდი და გავუზიარე ჩემი მოსაზრებები. წევრ სახელმწიფოებთან ერთად ჩვენ შევექმენით კონვენცია.

ჩვენს სამყაროში მცხოვრები თითოეული ადამიანი განსხვავებულად გამოიყურება და განსხვავებული აზრები, გამოცდილება, ტრადიციები და უნარები აქვს. მე აღმოვაჩინე, რომ ეს განსხვავებები ქმნის ახალ შესაძლებლობებს, ახალ იმედებს, ახალ ოცნებებსა და ახალ მეგობრობას.

ეს წიგნი არის მოწოდება მოქმედებისკენ ყველა ბავშვისათვის – მათთვისაც, ვისაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვს, და მათთვისაც, ვისი შესაძლებლობებიც არ არის შეზღუდული, რომ დადგნენ ერთმანეთის გვერდით და იბრძოლონ სამართლიანობისთვის. ჩვენი სამყაროს ხალხებს შორის არსებული განსხვავებები განძია, რომელსაც ყველამ უნდა სცეს პატივი და გაუზიაროს ერთმანეთს. ყოველი ბავშვი ჩვენი მსოფლიო ოჯახის ნაწილია და მსოფლიოს ცხოვრებაში საკუთარი უნიკალური შესაძლებლობებით შეაქვს თავისი წვლილი, ყველა ბავშვი ჩართულია ყველა პროცესში.

*ვიქტორ სანტიაგო პინედა არის პედაგოგი და რეჟისორი, რომელიც მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებთან, რათა გააცნოს მათ მათი უფლებები. ფონდში მისი ინიციატივით შეიქმნა პროექტი 'A World Enabled', რომლის მიზანია გააცნოს საზოგადოებას უნარშეზღუდული ახალგაზრდების შესაძლებლობები და პოტენციალი. პინედა თანამშრომლობდა გაეროსთან, მსოფლიო ბანკთან და სახელმწიფოების ლიდერებთან ყველა ადამიანის მიმართ პატივისცემის, თანაბარი შესაძლებლობებისა და ღირსების პროპაგანდის მიზნით. მას კუნთების დისტროფია აქვს და გადასაადილებლად ინვალიდის ეტლით სარგებლობს.*

„უნარშეზღუდულობა არ არის ცუდი. ეს შეიძლება საამაყოც კი იყოს. ჩვენ ყველანი განსხვავებულები ვართ და განსხვავებული უნარები გვაქვს. თითოეულ ბავშვს შეუძლია იყოს შესაძლებლობების ელჩი ჩვენს ოჯახებში, სკოლებსა და საზოგადოებაში. ჩვენ გვაქვს იდეები, გამოცდილება და უნარები, რომლებიც ყველას შეიძლება გამოადგეს. ეს წიგნი მოუწოდებს მსოფლიოს ყველა ხალხს, ღირსეულად და პატივისცემით მოგვეპყრან ჩვენ, ისეთებს, როგორებიც ვართ.“

- ვიქტორ სანტიაგო პინედა

„მე ბედნიერი ვარ, როდესაც...  
მე ბედნიერი ვარ პატარა რამეებით,  
მე ბედნიერი ვარ, როდესაც...  
ადამიანებს ესმით, რისი თქმაც მინდა,  
როდესაც მე ვესაუბრები სხვა ადამიანებს თანაბარ დონეზე.  
მე ბედნიერი ვარ, რადგან ვამაყობ საკუთარი თავით,  
მე ბედნიერი ვარ, როდესაც ვსწავლობ.  
სწავლით მე შემიძლია შევიტყო ახალი ინფორმაცია,  
მე ვიგებ ახალ ამბებს მთელი მსოფლიოდან,  
მე შემიძლია გამოვითვალო, რამდენი უნდა გადავიხადო,  
როდესაც ვჭამ,  
მე შემიძლია ვთქვა, რა არის სწორი და არასწორი ჩემი აზრით,  
მე ბედნიერი ვარ, რადგან მე თავად შემიძლია ამდენი რამის  
კეთება,  
მე ბედნიერი ვარ, რადგან საყვარელი საქმე მაქვს,  
მე ბედნიერი ვარ, როდესაც ვგულშემატკივრობ  
ფეხბურთელებს,  
რადგან მათი შემართება იმდენად დიდია, რომ  
თავს ერთ-ერთ მათგანად ვგრძნობ  
და ვხდები მათსავით მგ ზნებარე.  
მე ბედნიერი ვარ, რადგან მაქვს ოცნება,  
ის შეიძლება პატარა ჩანდეს, მაგრამ  
გეგმების დანყოფა და პატიოსნად ცხოვრება  
ყოველდღე  
ძალიან ბედნიერს მხდის.

- კიმ იოონა, 15 წლის, კორეის რესპუბლიკა



„თამაშის უფლება“, ჯავლონ რახმონბერდიევი,  
12 წლის, უზბეკეთი.



# კონვენციის შესახებ

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია არის შეთანხმება მსოფლიოს ქვეყნებს შორის, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ მოპყრობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე ადამიანების მიმართ. კონვენციები, რომელთაც ზოგჯერ უწოდებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს ან სამართლებრივ ინსტრუმენტებს, განუსაზღვრავენ თქვენს მთავრობას, თუ რა უნდა გააკეთოს მან, რომ თქვენ შეძლოთ თქვენი უფლებებით სარგებლობა. ეს ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა ადამიანზე, დიდსა თუ პატარაზე, ბიჭსა თუ გოგოზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია მიიღეს 2006 წლის 13 დეკემბერს. 2008 წლის 2 აპრილისთვის მისი რატიფიცირება 20 ქვეყანამ მოახდინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ძალაში შევიდა 2008 წლის 3 მაისს (იხ. კონვენციის წესები ვებგვერდზე: <[www.un.org/disabilities](http://www.un.org/disabilities)>).

მართალია, კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს ეხება, მიუხედავად ასაკისა, წინამდებარე წიგნში განხილულია რას ნიშნავს უფლებები ბავშვების ცხოვრებაში – იმიტომ, რომ თქვენ მნიშვნელოვანი ხართ!

## რატომ არის საჭირო კონვენცია?

თუ თქვენ, თქვენი მშობლები ან თქვენი ოჯახის სხვა წევრები ხართ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები, კონვენცია გთავაზობთ სასარგებლო ინფორმაციასა და მხარდაჭერას. ის გაძლევთ მიმართულებას თქვენ, თქვენს ოჯახს და მეგობრებს, რომელთაც თქვენი დახმარება სურთ, თქვენი უფლებების განხორციელებისათვის. ის ასევე განსაზღვრავს იმ ზომებს, რომელთა მიღებითაც სახელმწიფოები შეძლებენ უნარშეზღუდული ადამიანების დახმარებას, რომ ისარგებლონ კუთვნილი უფლებებით.

ამ კონვენციის შემუშავებაზე სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბევრი ადამიანი თავიანთ მთავრობებთან ერთად მუშაობდა. მათი იდეები ემყარებოდა იმ სასიკეთო ღონისძიებებსა და კანონებს, რომლებიც ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს, ისწავლონ სკოლაში, იშოვონ სამუშაო, გაერთონ და იცხოვრონ ბედნიერად თავიანთ საზოგადოებაში.

უნდა შეიცვალოს მრავალი არსებული წესი, დამოკიდებულება და შენობებიც კი, რომ უზრუნველყოფილი იყოს უნარშეზღუდული ბავშვების სკოლაში სიარული, თამაში და მათი მონაწილეობა ჩვეულებრივ ბავშვურ საქმიანობებში. თუ თქვენმა მთავრობამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, ამით ის თანხმობას აცხადებს, რომ განახორციელოს ეს ცვლილებები.

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები არ არის ახალი. ისინი იგივე უფლებებია, რომლებსაც აღიარებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებათა კონვენცია და ადამიანის უფლებათა დამცველი სხვა საერთაშორისო შეთანხმებები. შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების კონვენცია იძლევა გარანტიას იმისა, რომ ეს უფლებები შეზღუდული შესაძლებლობის პირთა მიმართაც იყოს დაცული.

ოპტიმიზმი არის ჩვენი დევიზი ცხოვრებაში. მომისმინე, ჩემო მეგობარო, ჩემო მეგობრებო, დაე, თქვენი დევიზი იყოს რწმენა და სიყვარული. სიცოცხლე არის საჩუქარი ჩვენი გულმონყალე ღმერთისგან

ყველა არსებისთვის ზეცაში და დედამიწაზე. თუ თქვენ გყავთ უნარშეზღუდული მეგობრები, იყავით მათთან ახლოს, რათა დაეხმაროთ, რომ

თავი დაცულად იგრძნონ, მოუწოდეთ მათ, იყვნენ ოპტიმისტები და უყვარდეთ სიცოცხლე, უთხარით მათ, რომ სასოწარკვეთილება სიმბდალეა

და რომ შეუპოვრობა და მიზანდასახულობა არის სიმამაცის ნიშნები.

იმედი არის ჩვენი მიზანი ცხოვრებაში. კეთილი ღიმილი გვაახლოებს ერთმანეთთან. არ არსებობს უიმედობა ცხოვრებაში და არ არსებობს ცხოვრება უიმედოდ.

- ჯვან ჯიჰად მედჰათ, 13 წლის, ერაყი

## გეზულული გესაკლებლობის პირთა უფლებების კონვენცია მოკლედ

კონვენცია ბევრ დაპირებას იძლევა. მისი 50 მუხლი ნათლად განმარტავს, თუ რას გულისხმობს ეს დაპირებები. როდესაც მომდევნო გვერდებზე ჩვენ ვახსენებთ „წევრ სახელმწიფოს“, ჩვენ ვგულისხმობთ იმ სახელმწიფოებს, რომელთაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება.



### რა არის კანონები?

კანონები არის წესები, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველასათვის, რათა ადამიანებმა პატივი სცენ ერთმანეთს და იცხოვრონ ერთად უსაფრთხოდ.

### რას ნიშნავს რატიფიცირება?

სახელმწიფოები, რომლებიც ახდენენ კონვენციის რატიფიცირებას, აცხადებენ თანხმობას, რომ მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ სისრულეში მოიყვანონ კონვენციის მუხლები. შეამოწმეთ, აქვს თუ არა თქვენს ქვეყანას რატიფიცირებული კონვენცია. თუ ეს ასეა, მაშინ თქვენ შეგიძლიათ შეახსენოთ თქვენი მთავრობის წარმომადგენლებს მათი ვალდებულებები. გაერო აქვეყნებს წევრი სახელმწიფოების სიას, რომელთაც ხელი მოაწერეს და მიიღეს კონვენცია. თუ გსურთ ინტერნეტში ნახოთ, აქვს თუ არა თქვენს ქვეყანას რატიფიცირებული კონვენცია, იხილეთ გაეროს ვებგვერდი: [www.un.org/disabilities](http://www.un.org/disabilities)



**მუხლი 1: მიზანი**

ამ მუხლში შეჯამებულია კონვენციის ძირითადი მიზანი — ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის, ბავშვების მიერ ადამიანის ყველა უფლებითა და თავისუფლებით სრულყოფილი და თანასწორი სარგებლობა.

**მუხლი 2: ტერმინების განმარტება**

ამ მუხლში ჩამოთვლილია ის სიტყვები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ კონვენციაში. მაგალითად, „ენა“ მოიცავს სალაპარაკო და ნიშნების ენებს და არასალაპარაკო ენის სხვა ფორმებს. „კომუნიკაცია“ მოიცავს ენებს, აფიშირებულ ტექსტს, ბრაილის ენას (რომელიც იყენებს ამობურცულ ნერტილებს ასოებისა და ციფრებისთვის), ტაქტილურ კომუნიკაციას, მსხვილ შრიფტს და ხელმისაწვდომ მულტიმედიას (როგორც არის ვებგვერდები ან აუდიომასალები).

**მუხლი 3: ზოგადი პრინციპები**

ქვემოთ ჩამოთვლილია კონვენციის პრინციპები (მთავარი ცნებები):

- (ა) ადამიანის თანდაყოლილი ღირსების პატივისცემა, საკუთარი არჩევანის გაკეთების თავისუფლებისა და პიროვნების დამოუკიდებლობის ჩათვლით.
- (ბ) დისკრიმინაციის არარსებობა (ყველას მიმართ სამართლიანი მოპყრობა).
- (გ) საზოგადოებაში სრული და ქმედითი ინტეგრაცია (მონაწილეობა თქვენი თემის ცხოვრებაში).
- (დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობის პატივისცემა, როგორც კაცობრიობის მრავალფეროვნების ნაწილისა.
- (ე) შესაძლებლობათა თანასწორობა.
- (ვ) ხელმისაწვდომობა (როდესაც ტრანსპორტი, ადგილები და ინფორმაცია მისაწვდომია და არ არის უარყოფილი შეზღუდული შესაძლებლობების გამო).
- (ზ) მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობა (თანასწორი შესაძლებლობების ქონა იმისდა მიუხედავად, ბიჭი ხარ თუ გოგო).
- (თ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის უნარების განვითარებისა და საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნების უფლების პატივისცემა (როდესაც პატივს გცემენ შენი უნარებისთვის და ამაცობ საკუთარი თავით).

**მუხლი 4: ზოგადი ვალდებულებები**

არ უნდა არსებობდეს ისეთი კანონები, რომლებიც დისკრიმინაციას უწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. საჭიროების შემთხვევაში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან და აამოქმედონ ახალი კანონები, რათა დაიცვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, ხოლო თუ ძველი კანონები ან ტრადიციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ დისკრიმინაციულია, წევრმა სახელმწიფომ უნდა გამოიხადოს გზები მათ შესაცვლელად.

ახალი კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავების მიზნით მთავრობა უნდა შეეცადოს, მიიღოს რჩევები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისგან, მათ შორის, ბავშვებისგან.



თუ არსებობს ისეთი კანონები ან პრაქტიკა, რომლებიც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, გააკეთონ იგივე, რასაც სხვა ბავშვები აკეთებენ, ისინი უნდა შეიცვალოს. ასეთი კანონებისა და პოლიტიკის შეცვლისას თქვენმა მთავრობამ უნდა გაიაროს კონსულტაციები უნარშეზღუდული ბავშვების ორგანიზაციებთან.

**მუხლი 5: თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის აკრძალვა**

წვერი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, იყოს დაცული კანონით და რომ ქვეყნის კანონმდებლობა შეეხება ყველა ადამიანს, რომელიც ამ ქვეყანაში ცხოვრობს.

**მუხლი 6: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები**

წვერი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები მრავალგვარი დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე დგანან. ისინი აცხადებენ მზადყოფნას, დაიცვან მათი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.

**მუხლი 7: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები**

წვერი სახელმწიფოები თანახმა არიან, მიიღონ ყველა ზომა, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიერ ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით სხვა ბავშვების თანასწორად სარგებლობა. ისინი ასევე თანახმა არიან, უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებს

შეეძლოთ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვა მათთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. პირველ რიგში, ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული ის, რაც საუკეთესოა თითოეული ბავშვისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბიჭებსა და გოგონებს იგივე უფლებები აქვთ, რაც ყველა ბავშვს. მაგალითად, ყველა ბავშვს აქვს უფლება, იაროს სკოლაში, ითამაშოს, იყოს დაცული ძალადობისგან და მონაწილეობა მიიღოს მასთან დაკავშირებული გადამწყვეტილებების მიღებაში. წვერმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ იმ ინფორმაციის მიწოდება და მხარდაჭერა, რაც აუცილებელია უნარშეზღუდული ბავშვებისათვის ამ უფლების განსახორციელებლად.

**მუხლი 8: საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მუშაობა**

წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებსა და ღირსებაზე, აგრეთვე მათ მიღწევებსა და უნარებზე. ისინი თანახმა არიან ებრძოლონ სტერეოტიპებს, ცრურწმენებს და ისეთ საქმიანობებს, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს. მაგალითად, თქვენი სკოლა ვალდებულია, ხელი შეუწყოს პატივისცემით აღსავსე დამოკიდებულების დამყარებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის, ძალიან მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ.

მედია ვალდებულია გააშუქოს უსამართლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და უფროსების მიმართ.



**მუხლი 9: ხელმისაწვდომობა**

წვერი სახელმწიფოები თანახმა არიან მისცენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დამოუკიდებელი არსებობისა და მათი თემის ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება. ნებისმიერი ადგილი, რომელიც ღიაა საზოგადოებისათვის, იგულისხმება: შენობები, გზები, სკოლები და საავადმყოფოები, ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, მათ შორის, ბავშვებისთვის. თუ თქვენ საჯარო შენობაში ხართ და გესაჭიროებათ დახმარება, თქვენთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მეგზურის, წამკითხველის ან ნიშნების ენის პროფესიონალი თარჯიმნის მომსახურება.



„მშვიდობა ყველა ბავშვს“, ანი ვერდიანი, 8 წლის, სომხეთი



## ტექნოლოგიის შესახებ

ტელეფონები, კომპიუტერები და სხვა ტექნოლოგიები ადვილად გამოსაყენებელი უნდა იყოს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის. მაგალითად, ვებგვერდები შეიძლება ისე აიგოს, რომ ადამიანებმა, რომელთაც უჭირთ კლავიატურის გამოყენება, აქვთ სმენისა და მხედველობის პრობლემები, შეძლონ ინფორმაციის სხვა ფორმით მიღება. კომპიუტერი შეიძლება აღჭურვილი იყოს ბრაილის კლავიატურით ან ჰქონდეს მეტყველების სინთეზატორი, რომელიც წარმოთქვამს მონიტორზე გამოსახულ სიტყვებს.

**მუხლი 10: სიცოცხლის უფლება**

სიცოცხლე ყველა ადამიანის თანდაყოლილი უფლებაა. ნევრი სახელმწიფოები იძლევიან გარანტიას, რომ ეს თანაბრად შეეხება ყველა ადამიანს — იმას, ვისაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვს, და იმასაც, ვისი შესაძლებლობებიც არ არის შეზღუდული.

**მუხლი 11: სარისკო და საგანგებო სიტუაციებო**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ისეთივე უფლება აქვთ, როგორც ყველას, რომ იყვნენ დაცული და უსაფრთხოდ ომის, საგანგებო მდგომარეობის ან ბუნებრივი კატასტროფის, მაგალითად, შტორმის დროს. დაუშვებელია, რომ კანონის ძალით არ შეგიშვან თავშესაფარში ან მიგატოვონ მაშინ, როდესაც სხვებს შველიან, იმის გამო, რომ თქვენ ხართ უნარშეზღუდული.

**მუხლი 12: კანონის წინაშე თანასწორობა**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვების მსგავსად აქვთ უფლება, განახორციელონ „კანონიერი ქმედუნარიანობა“, ანუ როდესაც თქვენ გაიზრდებით, მიუხედავად იმისა, ხართ თუ არა უნარშეზღუდული, გაქვთ უფლება, მაგალითად, აიღოთ სასწავლო სესხი ან ხელი მოაწეროთ იჯარას საკუთარი ბინის დასაქირავებლად. თქვენ გაქვთ უფლება, ფლობდეთ საკუთრებას ან მემკვიდრეობით მიიღოთ ის.

**მუხლი 13: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა**

თუ თქვენ დაზარალებით დანაშაულებრივი ქმედებით, შეესწართ სხის დაზარალებას ან ბრალს გდებენ უკანონო ქმედებაში, უფლება გაქვთ, საქმის ძიებისას ან განხილვისას მოგექცნენ სამართლიანად. თქვენ უნდა აღმოგიჩინონ დახმარება, რათა გამოხატოთ საკუთარი აზრი ყველა სამართლებრივ პროცესში.

**მუხლი 14: პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება**

ნევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თავისუფლება ისევე იყოს დაცული კანონით, როგორც ყველა სხვა ადამიანისა.

**მუხლი 15: წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ სასჯელისგან თავისუფლება**

არავინ უნდა გახდეს წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლი. ყველას აქვს უფლება, უარი თქვას სამედიცინო თუ სამეცნიერო ექსპერიმენტებზე.

**მუხლი 16: ძალადობისა და შეურაცხყოფისგან თავისუფლება**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები დაცული უნდა იყვნენ ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან. მათ არ უნდა მოეპყრან ბოროტად ან მიაყენონ ზიანი შინ თუ გარეთ. თუ თქვენ გახდით ძალადობის ან შეურაცხყოფის მსხვერპლი, თქვენ უფლება გაქვთ, მიიღოთ დახმარება, რათა თავი დაიცვათ ძალადობისაგან და გამოჯანმრთელდეთ.

**მუხლი 17: პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა**

არავინ უნდა მოგექცეთ, როგორც სხვებზე ნაკლებ პიროვნებას თქვენი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გამო. თქვენ გაქვთ უფლება, სხვებმა პატივი გცენ ისეთს, როგორიც ხართ!

შენ გაქვს სიცოცხლის უფლება. ეს შენთვის ნაბოძები საჩუქარია და, კანონის თანახმად, არავის აქვს უფლება, წაგართვას იგი.



**მუხლი 18: გადაადგილების თავისუფლება და მოქალაქეობა**

ყველა ბავშვს აქვს უფლება, ჰქონდეს კანონიერად რეგისტრირებული სახელი, მოქალაქეობა და, შესაძლებლობის ფარგლებში, იცოდეს მშობლების ვინაობა და მიიღოს მათგან მზრუნველობა. ასევე დაუშვებელია ადამიანებისთვის ქვეყნაში შესვლის ან გასვლის აკრძალვა იმის გამო, რომ მათ შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ.

**მუხლი 19: დამოუკიდებლად ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა**

ადამიანებს, მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობებისა, უფლება აქვთ, თავად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი. როდესაც გაიზრდებით, თქვენ უფლება გაქვთ, იცხოვროთ დამოუკიდებლად თქვენი არჩევანის მიხედვით და ჩართული იყოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თქვენთვის ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამხმარე მომსახურება, თუ თქვენ გესაჭიროებათ დახმარება, რომ იცხოვროთ საზოგადოებაში, იგულისხმება მზრუნველობა ბინაზე და ინდივიდუალური დახმარება.

**მუხლი 20: ინდივიდუალური მობილურობა**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს უფლება აქვთ გადაადგილდნენ და იყვნენ დამოუკიდებელი. ნევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაეხმარონ მათ ამაში.

**მუხლი 21: აზრისა და შეხედულების გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

ადამიანებს უფლება აქვთ, გამოხატონ თავიანთი აზრი, მოიძიონ, მიიღონ და გაუზიარონ სხვა ადამიანებს ინფორმაცია და მიიღონ ინფორმაცია მათთვის გასაგები და გამოსაყენებელი ფორმით.

**მუხლი 22: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა**

არავის აქვს უფლება, ჩაერიოს ადამიანების პირად საქმეში, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ შეზღუდული შესაძლებლობები. ადამიანებმა, ვინც ფლობს ინფორმაციას სხვებზე, მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, უნდა დაიცვას ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

**მუხლი 23: საცხოვრებლისა და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა**

ადამიანებს აქვთ უფლება, იცხოვრონ საკუთარ ოჯახებთან ერთად. თუ თქვენ შეზღუდული გაქვთ შესაძლებლობები, თქვენი სახელმწიფო ვალდებულია, დაეხმაროს თქვენს ოჯახს უნარშეზღუდულობასთან დაკავშირებული ხარჯების, ინფორმაციისა და

მომსახურების თვალსაზრისით. თქვენ არ უნდა დაგაშორონ თქვენს მშობლებს შეზღუდული შესაძლებლობის მიზეზით! თუ ოჯახთან თქვენი ცხოვრება შეუძლებელია, სახელმწიფომ დახმარება უნდა გაგინიოთ, რომ უზრუნველყოს თქვენზე მზრუნველობა სანათესაოში ან თემში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს ისეთივე უფლება აქვთ, მიიღონ ინფორმაცია რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, როგორც სხვა ახალგაზრდებს, და ისეთივე უფლება აქვთ დაქორწინებისა და საკუთარი ოჯახის შექმნისა, როგორც სხვებს.



Lisa Lavoie

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს უფლება აქვთ, გადაადგილდნენ და იყვნენ დამოუკიდებელი. ნევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაეხმარონ მათ ამაში.



„ყოველდღიური ცხოვრება ჩემს თემში“, პედრო ხოსე რივერა, 14 წლის, ნიკარაგუა

#### მუხლი 24: განათლება

ადამიანებს უფლება აქვთ, იარონ სკოლაში. უნარშეზღუდულობის გამო არ უნდა გაირიყოს განათლების სისტემიდან. თქვენ არ უნდა სწავლობდეთ სეგრეგირებულ სკოლებში. თქვენ უფლება გაქვთ, მიიღოთ ისეთივე განათლება და ისწავლოთ იმავე სასწავლო პროგრამით, როგორც სხვა ბავშვებმა, ხოლო თქვენი სახელმწიფო ვალდებულია გააგინოთ დახმარება, რომელიც თქვენ გჭირდებათ ამის განსახორციელებლად. მაგალითად, მან უნდა უზრუნველყოს სათანადო საშუალებები, რომ შეძლოთ კომუნიკაცია ისე, რომ თქვენმა მასწავლებელმა შეძლოს თქვენს საჭიროებებზე რეაგირება.

#### მუხლები 25 და 26: ჯანმრთელობა და რეაბილიტაცია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ, მიიღონ იმავე დონისა და ხარისხის უფასო ან ხელმისაწვდომი ჯანდაცვის მომსახურება, როგორც მიენოდებათ სხვა ადამიანებს. თუ თქვენ შეზღუდული შესაძლებლობა გაქვთ, თქვენ გაქვთ უფლება, მიიღოთ ჯანდაცვისა და რეაბილიტაციის მომსახურება.

#### მუხლი 27: შრომა და დასაქმება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვების თანასწორი უფლება აქვთ, დისკრიმინაციის გარეშე იმუშაონ თავისუფლად არჩეულ სამუშაოზე.



**მუხლი 28: ცხოვრების ადეკვატური დონე და სოციალური დაცვა**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ, დისკრიმინაციის გარეშე მიიღონ საკვები, სუფთა წყალი, ტანსაცმელი და საცხოვრებელი. ნევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაეხმარონ სიღარიბეში მცხოვრებ უნარშეზღუდულ ბავშვებს.

**მუხლი 29: პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როდესაც თქვენ მიაღწევთ თქვენი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ ასაკს, თქვენ უფლება გაქვთ, ჩამოაყალიბოთ ჯგუფი, ემსახუროთ საზოგადოებას, შეგეძლოთ საარჩევნო ჯიხურებში შესვლა, მისცეთ ხმა და იყოთ აყვანილი სახელმწიფო სამსახურში, მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობისა.

**მუხლი 30: კულტურულ, რეკრეაციულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ისეთივე უფლება აქვთ, როგორც სხვებს, მიიღონ მონაწილეობა და ისიამოვნონ ხელოვნებით, სპორტით, თამაშებით, ფილმებით და სხვა სახალისო აქტივობებით. ამრიგად, თეატრები, მუზეუმები, სათამაშო მოედნები და ბიბლიოთეკები მისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის.

**მუხლი 31: სტატისტიკა და მონაცემთა შეგროვება**

ქვეყნებმა უნდა შეაგროვონ მონაცემები შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ, რათა შექმნან უკეთესი პროგრამები და მომსახურება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირების მიმართ, რომლებიც წვლილს შეიტანენ კვლევაში შესაძლებლობის შეზღუდვის შესახებ, უნდა არსებობდეს პატივისცემა და ჰუმანური დამოკიდებულება. დაცული უნდა იყოს ნებისმიერი პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელსაც ისინი გასცემენ. შეგროვილი სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ისე სხვებისათვის.

**მუხლი 32: საერთაშორისო თანამშრომლობა**


ქვეყნები ვალდებული არიან, გაუზიარონ ერთმანეთს დახმარება ამ კონვენციის მუხლების შესრულებაში. ეს ასევე გულისხმობს, რომ იმ ქვეყნებმა, რომელთაც მეტი შესაძლებლობები აქვთ (ივარაუდება სამეცნიერო ინფორმაცია, სასარგებლო ტექნოლოგიები), გაუზიარონ რესურსები სხვა ქვეყნებს, რათა მსოფლიოში მეტ ადამიანს მიეცეს საშუალება, ისარგებლოს კონვენციით მინიჭებული უფლებებით.

**მუხლი 33-50: წესები თანამშრომლობის, კონვენციის განხორციელებისა და მონიტორინგის შესახებ**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია მთლიანად შედგება 50 მუხლისაგან. მუხლები 33-დან 50-მდე შეეხება იმას, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ ზრდასრულმა ადამიანებმა, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა და მათმა ორგანიზაციებმა და წევრმა სახელმწიფოებმა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირმა ისარგებლოს თავისი ყველა უფლებით. ვრცლად აღნიშნული მუხლები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: [www.un.org/disabilities](http://www.un.org/disabilities).



Lisa Laviole



„ჩვენ ვთამაშობთ“, ტატევ დანიელიანი, 15 წლის, სომხეთი

ორი სამყარო...  
გახლეჩილი ხმებსა და სიჩუმეს შორის,  
გაურკვეველი, შეერთება რომ არ შეუძლიათ...  
ცრემლები მოედინება...  
გაუცნობიერებლად განემორებინან ერთმანეთს,  
უარყოფილნი, ისინი შექმნილნი არიან,  
რათა თავი გარიყულად იგრძნონ...  
ცრემლები მოედინება...  
გარდა ზოგიერთი ხელებისა,  
იზიდავს, აწვება, ამხნევეს,  
ულმობელია...  
ცრემლები მოედინება, ღიმილი ისახება...  
კვლავ შუაში გაჭედილი,  
მაგრამ რომელიც უყვართ...

- სარა ლესლი, 16 წლის, აშშ

# როგორ სორციალდება უფლებები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებები იგივეა, რაც ყველა ბავშვის უფლებები. თქვენზეა დამოკიდებული, რომ მსოფლიოს გააგებინოთ კონვენციის შესახებ. ადამიანებმა უნდა აღიმაღლონ ხმა და იმოქმედონ, თუ სურთ, რომ მათ საზოგადოებაში ყველა იყოს მიღებული.

თუ თქვენ ხართ უნარშეზღუდული, ეს კონვენცია თქვენ, თქვენს მთავრობას და თქვენს ოჯახს გაძლევთ საშუალებას, რომ განახორციელოთ თქვენი უფლებები და თქვენი ოცნებები. თქვენ უნდა გქონდეთ სხვების თანაბარი შესაძლებლობა, რომ იაროთ სკოლაში და მიიღოთ მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში. უფროსები უნდა დაგეხმარონ გადაადგილებაში, კომუნიკაციასა და სხვა ბავშვებთან თამაშში, მიუხედავად იმისა, რა სახის უნარშეზღუდულობა გაქვთ.

თქვენ ხართ მოქალაქე, ოჯახისა და საზოგადოების წევრი და შეგიძლიათ ბევრი რამ გააკეთოთ.

დაიცავით თქვენი უფლებები და სხვებიც თქვენს გვერდზე დადგებიან. ყველა ბავშვს შიშქლინ სკოლაში სიარული, შიშქლინ თამაში და შიშქლინ მიიღოს მონაწილეობა ყველაფერში. არ არსებობს „არ შემიძლია“, პირიქით, ყოველთვის უნდა თქვათ: „მე შიშქლინ!“

- ვიქტორ სანტიაგო პინედა

## რისი გაკეთება შეგიძლიათ?

მნიშვნელოვანია, შეიცვალოს დამოკიდებულება და წესები, რათა იმ ბავშვებმა, ვისაც შეზღუდული

შესაძლებლობა აქვთ, შეძლონ სკოლაში სიარული, თამაში და იმ ღონისძიებებში მონაწილეობა, რითაც ყველა ბავშვი ერთობა. თქვენს სკოლაში ყველა კლასში და ყველა ღონისძიებაში არიან ჩართული უნარშეზღუდული ბავშვები? მასწავლებლები უსმენენ და პასუხობენ მათ, ვისაც თქვენ შორის განსაკუთრებული საჭიროებები აქვს? არის თუ არა პანდუსი, ნიშნების ენის თარჯიმანი ან სხვა დამხმარე ტექნოლოგიები? კარგია! ეს ნიშნავს, რომ თქვენი სკოლა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს სამართლიანად ეპყრობა, როდესაც სხვების თანასწორ საშუალებას აძლევს, რომ ისწავლონ. თქვენი სკოლა იცავს კონვენციას.

სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი სამართლიანად არ ექცევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს. თქვენ თქვენი წვლილი უნდა შეიტანოთ იმაში, რომ თქვენი საზოგადოება უფრო ინკლუზიური გახდეს. შეგიძლიათ დაინყოთ საკუთარი სახლით და სკოლით, რათა შეცვალოთ თქვენი მშობლებისა და მასწავლებლების აზროვნება.

ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, რომ გააგებინოთ სხვებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების პოტენციალის შესახებ. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ:

- განვერვიანდეთ ორგანიზაციაში ან მონაწილეობა მიიღოთ კამპანიაში. ძალა რაოდენობაშია. სხვებთან ძალების გაერთიანებით თქვენ შეძლებთ დაეხმაროთ ან შეუერთდეთ ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაციის ადგილობრივ შტოს. მათ შეიძლება ჰქონდეთ სპეციალური პროგრამები ან კამპანიები ახალგაზრდებისათვის.
- შეიმუშავეთ საკუთარი პროექტი. დაიწყეთ საინფორმაციო კამპანიით, შეაგროვეთ თანხები, ჩაატარეთ მოკვლევა (თქვენი ნაცნობებიდან ვინმეს ხომ არ მოექცნენ უსამართლოდ? თქვენს სკოლას მხოლოდ კიბეები ხომ არა აქვს (და არა აქვს პანდუსები?)), შეადგინეთ პეტიცია იმ დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც შეგხვდათ.
- შექმენით კლუბი, რომელიც პროპაგანდას გაუწევს კონვენციას. შეკრიბეთ სხვადასხვა უნარის მქონე ბავშვები, ჩაატარეთ სოციალური ღონისძიებები ყველა თქვენს

მეგობართან ერთად და მოინვიეთ ახალი ადამიანები. მოაწყვეთ ფილმების ჩვენება ან ერთობლივი ვახშამი. უბრალოდ გაერთეთ და მიიღეთ სიამოვნება ერთმანეთის უნიკალური ნიჭითა და უნარებით.

- ჩაატარეთ პრეზენტაციები თქვენს სკოლაში და მიმდებარე სკოლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ. იყავით შემოქმედებითი. გააკეთეთ პოსტერები და დადგით სპექტაკლები, რათა დაეხმაროთ თქვენს თანატოლებს კონვენციით მინიჭებული უფლებების უკეთ გაგებაში. სთხოვეთ მშობლებს ან მასწავლებელს, რომ დაგეხმარონ პრეზენტაციის ორგანიზებაში და დაგეგმეთ, სად და როდის შეძლებთ, ასწავლოთ სხვებს. მიიწვიეთ თქვენი სკოლის დირექტორი თქვენს პრეზენტაციებზე დასასწრებად.
- მეგობრებთან ერთად შექმენით ხელოვნების ნამუშევრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ. ეს შეიძლება იყოს ნახატები ან ქანდაკებები, ანუ ყველაფერი, რაც გინდათ და რაც დაგეხმარებათ ინფორმაციის გავრცელებაში. გაიგეთ, შეგიძლიათ თუ არა გამოფინოთ თქვენი ნამუშევრები სკოლაში, ადგილობრივ ბიბლიოთეკებში, გალერეებში ან რესტორნებში – ყველგან, სადაც ხალხი შეძლებს დაათვალიეროს თქვენი გამოფენა. შეგიძლიათ გამოფენა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიტანოთ და ამ გზით კონვენცია ბევრ ადამიანს გაუზიაროთ.
- გაუზიარეთ სხვებს თქვენ მიერ მიღებული გამოცდილება. იუნისეფის „ახალგაზრდობის ხმები“ ([www.unicef.org/voyn](http://www.unicef.org/voyn)) პოპულარული სადისკუსიო ფორუმი ახალგაზრდებისათვის ინტერნეტში.

**ქვემოთ მოცემულია რამდენიმე იდეა იმისათვის, თუ რა შეგიძლიათ გააკეთოთ – შეზღუდვები არ არსებობს. სთხოვეთ თქვენთვის სანდო უფროსს, დაგეხმაროთ ღონისძიების ორანიზებაში და გაერთეთ!**



**„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების როკ-ჯგუფი“, ვალერია დავოლა, 13 წლის, იტალია**

სასწავლო მასალების კრებული იხილეთ ცალკე ბუკლეტში, რომელიც მალე გამოიცემა სათაურით: „მთავარი შესაძლებლობა: ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესწავლისა და განხორციელებისათვის“.

# შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

## (1) ჩანერეთ გამოტოვებული სიტყვა.

- ა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ერთ-ერთი პრინციპია სრული მონაწილეობა და \_\_\_\_\_ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- ბ. ბევრი არსებული წესი, დამოკიდებულება და შენობა უნდა \_\_\_\_\_, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა შეძლოს სკოლაში სიარული, თამაში და ისეთ რაღაცეებში მონაწილეობა, რაც ყველა ბავშვს უნდა.
- გ. ყველა ადამიანს \_\_\_\_\_ უფლებები აქვს.
- დ. კანონები არ უნდა იყოს \_\_\_\_\_ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ.
- ე. \_\_\_\_\_ არსებობს ბევრი ფორმით; ის შეიძლება იყოს დაწერილი, სალაპარაკო ან ნიშნების.

## (2) დააწყვეთ სიტყვები და შეადგინეთ წინადადება

ერვნ \_\_\_\_\_ ლაყვე \_\_\_\_\_ ვებგახვაულნსები \_\_\_\_\_

რვათ \_\_\_\_\_ ად \_\_\_\_\_ ვებგახვანსული \_\_\_\_\_

აებუნრი \_\_\_\_\_ ქსგვავ \_\_\_\_\_ ად \_\_\_\_\_ ლაყვეს \_\_\_\_\_

ბართანაი \_\_\_\_\_ ფლბუებეი \_\_\_\_\_ ქსგვავ \_\_\_\_\_

---

---

(3) რა აქვთ საერთო ამ ბავშვებს?



- თქვენს სკოლაში, სადაც ყველა ერთად (3)
  - რა არის თქვენს სკოლაში (7)
  - რა არის თქვენს სკოლაში (1)
- :სკოლაში

# ლექსიკონი

**მიღება, დამტკიცება** – ოფიციალურად დამტკიცება ან მიღება (მაგალითად, კონვენციის ან დეკლარაციისა).

**მუხლები** – სამართლებრივი დოკუმენტის პუნქტი ან ნაწილი, რომელიც დანომრილია. ნუმერაციის საშუალებით ადვილია ინფორმაციის მოძიება და ამის შესახებ წერილობით და სიტყვიერად მითითება.

**დამხმარე ტექნოლოგიები** – ისეთი საშუალებები, რომლებიც გეხმარებათ იმის გაკეთებაში, რასაც სხვაგვარად ვერ გააკეთებდით, მაგალითად, ინვალიდის ეტლი, რომელიც საჭიროა გადაადგილებისათვის ან მსხვილი შრიფტი კომპიუტერის მონიტორზე, რომელიც გეხმარებათ წაკითხვაში.

**კომიტეტი** – იმ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც არჩეული არიან იმ მიზნით, რომ იმუშაონ ერთად და დაეხმარონ ადამიანთა უფრო ფართო ჯგუფს.

**კომუნიკაცია** – ინფორმაციის გაზიარება. ეს ასევე გულისხმობს ინფორმაციის წაკითხვის, საუბრის ან აღქმის საშუალებას მულტიმედიის, მსხვილი შრიფტის, ბრაილის, ნიშნების ენის ან სხვა პირის მიერ ხმამაღლა წაკითხვის დახმარებით.

**თემა** – იმ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობენ. აქ ასევე იგულისხმება ერთი და იმავე ინტერსებისა და პრობლემების მქონე ადამიანები.

**კონვენცია** – შეთანხმება ან ხელშეკრულება ქვეყნებს შორის, რომ შეიმუშაონ და დაიცვან ერთი და იგივე კანონები.

ბავშვის უფლებათა კონვენცია არის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველა ბავშვმა ისარგებლოს თავისი უფლებებით, როგორც საზოგადოების წევრმა, და მიიღოს განსაკუთრებული მზრუნველობა და დაცვა, რომელიც მას სჭირდება როგორც ბავშვს. ეს არის ისტორიაში ყველაზე ფართოდ მიღებული ადამიანის უფლებათა დამცველი ხელშეკრულება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია არის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველა ადამიანს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, შეეძლოს თავისი უფლებებით სარგებლობა.

**ღირსება** – თქვენი, როგორც ადამიანის, თანდაყოლილი ღირსება და თქვენ მიმართ პატივისცემა. საკუთარი თავის პატივისცემა. თქვენ მიმართ ღირსეული მოპყრობა ნიშნავს, რომ სხვა ადამიანები გექცეოდნენ პატივისცემით.

**დისკრიმინაცია** – ერთი პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ უსამართლო მოპყრობა რაიმე მიზეზით — რასის, რელიგიის, სქესის ან განსხვავებული შესაძლებლობების ნიშნით.

**განხორციელება** – რაიმეს ძალაში შეყვანა. კონვენციის მუხლების განხორციელება ნიშნავს კონვენციის დაპირებების რეალობად ქცევას.

**თანდაყოლილი ღირსება** – ღირსება, რომლითაც იბადება ყველა ადამიანი.

**სამართლებრივი, იურიდიული** – კანონთან დაკავშირებული, კანონზე დამყარებული ან კანონის მიერ მოთხოვნილი.

**კუნთების დისტროფია** – ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც იწვევს დროთა განმავლობაში კუნთების დასუსტებას.

**რატიფიცირება** – როდესაც ხდება ხელმოწერილი კონვენციის ან ხელშეკრულების ოფიციალურად დამტკიცება ქვეყნის მიერ და ის ხდება იმ ქვეყნის კანონი.

**წევრი სახელმწიფოები** — ქვეყნები, რომელთაც ხელი მოაწერეს და შეუერთდნენ კონვენციას.

**იუნისეფი** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი. ეს არის გაეროს სააგენტო, რომელიც მუშაობს ბავშვთა უფლებების დაცვის, მათი სიცოცხლის, განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, რათა მსოფლიო გახდეს უკეთესი, უფრო უსაფრთხო და მეგობრული ადგილი ბავშვებისთვის და ყველა ჩვენთაგანისათვის.

**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია** – ამ შეთანხმებაში, რომელიც ხელმოწერილია 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, ჩამოთვლილია ყველა ადამიანის უფლებები.

**ყველა ბავშვისათვის  
ჯანმრთელობა, განათლება, თანასწორობა, დაცვა  
გზა კაცობრიობის პროგრესისაკენ**

**გაეროს ბავშვთა ფონდი**

რ. ერისთავის ქ. 9, მე-4 სართული,  
თბილისი 0179, საქართველო  
ტელ: (995 32) 232 388; 251 130, 250 281, 251 656  
ფაქსი: (995 32) 251 236  
ელ.ფოსტა: [tbilisi@unicef.org](mailto:tbilisi@unicef.org)  
[www.unicef.org/georgia](http://www.unicef.org/georgia)

© გაერთიანებული ერების ორგანიზაციის  
ბავშვთა ფონდი (იუნისეფი)  
აპრილი, 2008 წ.

**unicef**   
unite for children